საქართ. მუშათა. სოც.-დემ. ხარუშ. პარტია

# ტრიბუნა

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. ნონპარელი
4 „ 30,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

მთავარ კომიტეტის ორგანო

№ 413 პარასკევი, თებერვლის 9 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი
„ტრიბუნა“
1923 წლის იანვრის პირველიდან ღირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.
გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში.
ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34
ფოსტის ყუთი № 190.

## ლოზანას შედეგებისათვის

უკანასკნელი ცნობებით ლოზანას კონფერენცია დროებით შეწყვეტილია, მიუხედავად ამისა ამ ჟამად შეუძლებელი არის ნათლად იქმნეს გამორკვეული თუ როგორ სახეს მიიღებს ახლო აღმოსავლეთის ამბების ვითარება. კონფერენციამ ვერ მოგვცა ხელშეკრულება და ვერ განამტკიცა ახლო-აღმოსავლეთში ზავი: მთელს რიგ კითხვებში ოსმალეთსა და ინგლისს შორის თითქმის გარდუვალი წინააღმდეგობა აღმართა. მეორეს მხრით, თვით მოკავშირეთა შორის წინააღმდეგობამ ახლო-აღმოსავლეთის საკითხის შესახებ გამწვავებული ხასიათი მიიღო. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ინგლისსა და საფრანგეთის დამოკიდებულებანი ოსმალეთის მიმართ დიდათ განსხვავდებიან. ინგლისი ოსმალეთის დაშლისა და დასუსტების მომხრეა, რომ ამით ფართო გასავალი მისცეს თავის საბზიო პოლიტიკას. ამიტომ მან მოინდომა სევრის ხელშეკრულების ახალი ვარიაციის გატარება ლოზანაში. საფრანგეთი არ იზიარებს ამ პოლიტიკას და ოსმალეთთან შეთანხმების გზას ადგია. დამოკიდებულება ინგლისს-საფრანგეთს შორის უფრო გაამწვავა ევროპის დღევანდელმა ვითარებამაც: ინგლისმა მხარი არ დაუჭირა პუანკარეს იმპერიალისტურ პოლიტიკას გერმანიის მიმართ და არ დაეხმარა რურის ოკუპაციაში. სამაგიეროდ პუანკარე გართულებულ მდგომარეობაში აყენებს ინგლისს ახლო-აღმოსავლეთში. როგორც ვიცით, საფრანგეთის მთავრობამ უკვე აცნობა ინგლისის მთავრობას, რომ თუ ლოზანას კონფერენცია ჩაიშალა ის სეპარატიულ ზავს შეჰკრავს ოსმალეთთან.

ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობას ახლო-აღმოსავლეთში ზედ ერთვის ამერიკის პოლიტიკაც. ამ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ამერიკა ძლიერ დაინტერესდა ახლო-აღმოსავლეთის ეკონომიური დოვლათით, განსაკუთრებით მას აინტერესებს მოსულის ნავთის საკითხი. ოსმალეთთან ეკონომიური ურთიერთობის გასაბმელად ამერიკამ უკვე გადადგა რამოდენიმე ნაბიჯი და ინგლისს დიდ კონკურენციას უწევს. ლოზანას კონფერენციას ის არ დასწრებია ფორმალურად; ფაქტიურად კი მისი რწმუნებული სერ ჩაილდი დიპლომატიურს კულისებში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონფერენციის ვითარებაზე. შეიძლება ითქვას, რომ ის რამდენიმედ ზურგს უმაგრებს ანგორის მთავრობას, რამდენად ეს უკანასკნელი სასარგებლო კონცესიებით უმასპინძლდებოდა ამერიკას. ასეთს პირობებში ამერიკა მხარს არ უჭერს ლორდ კერზონის ახალს პოლიტიკას ოსმალეთის მიმართ.

საერთაშორისო პოლიტიკის დასახასიათებლად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საბ. რუსეთის სამოქმედო ხაზსაც, რომელმაც ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია ინგლისის გეგმებსა და დაიცვა მუსლიმანურ ქვეყნების ინტერესები.

ამ გვარად ინგლისის პოლიტიკას ლოზანაში დიდი მოწინააღმდეგენი აღმოუჩნდნენ როგორც თვით მოკავშირე სახელმწიფოებში, ისე მის გარეც. ინგლისმა თავისი გეგმებით ლოზანა ჩიხში შეიყვანა და ამიტომ კონფერენციამ ვერავითარი შედეგი ვერ მოგვცა ზავის სასარგებლოდ. კონფერენციამ არსებითად გამოააშკარავა დიდ-ტანიან სახელმწიფოთა ინტერესთა წინააღმდეგობანი და კვლავ გამოურკვეველს მდგომარეობაში დასტოვა ოსმალეთის საკითხი.

მართალია ლორდ კერზონი ბრიტანეთის კაბინეთის სხდომაზე არწმუნებს თავის კოლეგებს კონფერენციის მათდა სასარგებლოდ დათავების შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებულ რაინდის ილიუზიებია. ინგლისი ფაქტიურად ბრწყინვალე იზოლაციაში იმყოფება ამ ჟამად.

მოკავშირეები, საფრანგეთი და იტალია მის პოლიტიკას არ აზიარებენ აღმოსავლეთში და სეპარატიული გზით მსვლელობას ეპირებიან. ასეთს გართულებულს მდგომარეობიდან გამოსავალი ინგლისისა თვის ორი ხაზით მიემართება: მან ან სამუდამოდ უნდა გასწყვიტოს კავშირი თავის მეგობრებთან, ან დათმობის გზას დაადგეს და მონახოს მათთან ერთად „ერთი საერთო ენა.“

უკანასკნელი ცნობებით, ბრიტანეთის მთავრობამ აცნობა საფრანგეთს, რომ ის მზად არის სერიოზულად და კეთილ სინდისიერად განიხილოს წინადადებები, რომელნიც ისმედ-ფაშამ წარუდგინა პუანკარეს და შეუერთდეს საერთო გადაწყვეტილებას.

ბრიტანეთის ასეთი დათმობით პოლიტიკამ შეიძლება კვლავ გამონახოს საერთო ენა მოკავშირეთა შორის: ეს ფაქტიურად ნიშნავს რურის ამბების გართულებასა და გერმანიის ხარჯებზე საფრანგეთის მოყიდვას, ვინაიდგან ინგლისმა უნდა დაუთმოს რურის საკითხში, თუ უნდა საფრანგეთის თანხმობა მიიღოს ახლო-აღმოსავლეთის მიმართ.

ლოზანას კონფერენციის ასე უშედეგოდ ჩაშლა ფაქტიურად ძლიერ ართულებს ისედაც გართულებულს საერთაშორისო მდგომარეობას. პუანკარეს აგრესიული გეგმები, მემელის ამბები, ჰუნგრეთისა და რუმინიის დამოკიდებულების გართულება, მეორეს მხრით საბერძნეთის საომარი მზადება და ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადაუჭრელობა კაცობრიობას კვლავ გამანადგურებელი ომით ემუქრება.

იმპერიალისტური მეთოდებით შეუძლებელი შეიქმნა ზავის ჩამოვდება. იმპერიალისტური ზავი — საერთაშორისო ომებისა და კონფლიქტების უმთავრესი წყარო შეიქმნა. მაგრამ ომი იწვევს დაჩაგრულ კლასების გამოფხიზლებასა და აქტივობას. 1914 წლის ომმა ჩვენ მოგვცა რუსეთის დიდი რევოლუცია და პროლეტარული მოძრაობა მთელს რიგ ქვეყნებში. ახალი ომი შეუძლია შედეგად მოიტანოს მთელი კაპიტალისტური ევროპის ელსახრული და დაამყაროს პროლეტარიატის ზელისუფლება.

## ნარკვევი

### პოლონეთის იმპერიალიზმის განზრახვები.

გაზ. „იზვესტია“ რურის ამბებთან დაკავშირებით იხილავს პოლონეთის იმპერიალიზმის თანამედროვე განწყობილებას. მოგვყავს ეს წერილი შემოკლებით:

საერთაშორისო მდგომარეობა ისევ გართულდა. ხიდები რეინზე კვლავ ზანზარებენ სამხედრო მატარებლებიდან, მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე ფრანგული ჯარები იძვრიან რურის მადნებიდან და არა გერმანელები—შამპანისაკენ.

ასეთი ხანის დროს საჭიროა გულდასმითი თვალყურის დევნება ცალკე იმპერიალისტურ ქვეყნებისათვის როგორც მოსკოვის განიარაღების კონფერენციამ გვიჩვენა ჩვენს მეზობლებს არა ერთი ქვა აქვთ მომარაგებული ზურგს უკან ჩვენს წინააღმდეგ, ამ ქვეყნებს შორის კი პირველი პოლონეთია. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის ხელმძღვანელ წრეების მისწრაფებას, რის ნათელსაყოფათაც ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა მეტად საინტერესო დოკუმენტი. ეს არის —საზოგადოებრივ მეცნიერებათა დოქტორის იან დომბროვსკის მოხსენება „პოლონეთი მომავალ ომში“, რომელიც დანიშნული იყო კრაკოვის ჟურნალისათვის, მაგრამ კონფისკაცია უყვეს აწყობის დროს.

დომბროვსკი ცნობილია, როგორც პილსუდსკის ახლო მეგობარი. თავის მოხსენებაში, ცხადია, ის გამოხატავს პოლონეთის სახელმწიფოს მართველთა თვალსაზრისსაც. მოხსენების გამოქვეყნება მას სურდა იმისათვის, რომ მოემზადებია პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი, თითქოს გარდაუვალ ომისათვის, —რუსეთსა და გერმანეთთან.

„ყოველმა პოლონელმა აშბობს ის, მტკიცედ უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ ჩვენი საზღვრები სამაგლად არის გაყვანილი და რომ მრავალ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება სახელმწიფოს მრავალ ოლქების თავდაცვა“; კიდევ მეტი—„ახლანდელი ფორმა პოლონეთის საზღვრებისა არის ის ფაქტორი, რომელსაც შეუძლია ილოდათ გამოიწვიოს ომი, ან ყოველ შემთხვევაში დააჩქაროს ის.“

რუსეთი და გერმანეთი, მისი აზრით, „თვით პოლონეთის სახელმწიფოს შექმნას“ აწერენ „ამ სახელმწიფოთა დროებითი სისუსტის მომენტს“, რუსეთი და გერმანეთი უცდიან შესაძლებლობის გადახილული იქნეს დადგენილებანი პოლონეთის შესახებ. ზოგიერთები ფიქრობენ, ამბობს დომბროვსკი, თითქოს „ბოლშევიზმის დაცემის შემდეგ“ რუსეთი დაუბრუნდება ანტი-გერმანულ კავშირს და ეს კი შეცვლის პოლონეთის ორიენტაციას. მაგრამ დომბროვსკის ამის იმედი არა აქვს: „რომ არ ვილაპარაკოთ ბოლშევიზმის ხანგრძლივ ევოლიუციაზე, ჩვენ ვერ ვხედავთ მის მემკვიდრეებს შორის—მასალას საფრანგეთთან კავშირისათვის. როგორც ახლანდელ რუსეთში, ისე ემიგრანტებში სავსებით გამეფებულია გერმანოფილური პოლიტიკა“. ამიტომ პირველი ობიექტი შემტევი პოლიტიკისა როგორც რუსეთისა, ისე გერმანეთისათვის პოლონეთი იქნება; „ამის გამო ურთიერთობანი ისე ეწყობიან, რომ ომი პოლონეთის წინააღმდეგ ჩვენი მეზობლებისათვის არის პირველი ნაბიჯი ევროპაში არსებულ წესწყობილების შეცვლისაკენ, არა მარტო იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მოისურვებს გზის გადებას დასავლეთისკენ, არამედ მაშინაც, თუ გერმანეთი შეეცდება იარაღით ხელში რევიზია მოახდინოს ტრაქტატებისა“.

დომბროვსკი აცხადებს, რომ ამ საფრთხის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი მტერთაგანი საბოლოოდ დაიშლება. გერმანიის შესახებ ეს ნაკლებ საეჭვოა. „რუსეთის გავლენის სფეროებად დაყოფის პოლიტიკა კი, თანდათან მეტ მომხრეებს პოულობს, ავტორის აზრით, ანტანტასა და შეერთ. შტატებში. „რუსეთის დაშლა ქვეყნ შემადგენელ ელემენტებათ, საციცოცხლო ინტერესია პოლონეთისა, ხოლო მისწრაფება ამისაკენ—მთავარი მიზანი არის პოლონეთის გონიერ პოლიტიკისა“.

იან დომბროვსკი დაწვრილებით ჩერდება „პოლონეთის თავდაცვის“ საკითხებზე. პოლონეთის ახლანდელი საზღვრები მას არ აკმაყოფილებს. რათა უზრუნველყოფილი იყოს პოლონეთისათვის ზღვაზე გასავალი, საჭიროა არის აღმოსავლეთ პრუსიის დაპატრონება. ეს იქნება ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა მომავალი ომისა. არ აკმაყოფილებს პოლონეთის იმპერიალისტს სამხრეთი ნაწილი საზღვრისა გერმანიასთან, რომელიც გაყვანილია სილეზიის გაყოფით. ასევე დაუკმაყოფილებელია აღმოსავლეთის საზღვარიც: „მტკიცე საზღვარი პოლონეთისა აღმოსავლეთში შესაძლებელია იქნეს მხოლოდ დნეპრი... ან ბუგი“ და „დიპლომატების მიერ გაფუჭებული საქმის გამოსწორება ბრძოლის ველზე უნდა მოხდეს“.

ყოველივე ამ მოსაზრებათა გამო დომბროვსკი ფიქრობს, რომ პოლონეთის ახლანდელი არმია—30 დივიზია არ არის საკმარისი. მეტის-მეტი მზრუნველობით ლაპარაკობს ის მასზე, რომ პოლონეთში არ არის სერიოზული სამხედრო მრეწველობა და შიშს გამოსთქვამს გერმანეთის საჰაერონავო და ქიმიურ მრეწველობის გამო. არ აკმაყოფილებს მას პოლონეთის რკინის გზებიც. ყველაზე უფრო ცუდი მდგომარეობა აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარზეა, სადაც არ არის რკინის გზის სქელი ბადე. ხიდები ვისლაზე მარტო ორი არის (ვარშავასა და დუბლინთან); მაგისტრალი ვარშავა-კრაკოვი ძალიან ახლო გადის გერმანეთის საზღვართან, რის გამოც დიდათ საფრთხიელოა და სხ.

ძალთა განწყობილებას, იმ შემთხვევაში თუ ომი მოხდა, დომბროვსკი პოლონეთისათვის არა სახეიროდ სცნობს: გერმანიას შეუძლია მობილიზაცია უყოს 50 დივიზიას, ხოლო რუსეთს შეუძლია პირველ რიგში პოლონეთის წინააღმდეგ გამოიყვანოს 45 დივიზია.

დომბროვსკი იხილავს მომავალი ომის სხვა და სხვა ვარიანტებს. განსაკუთრებით ხაზს უსვამს ის მას, რომ რუსეთზე უნდა სწარმოებდეს „შეტევა არა მარტო სამხედრო ძალებით, არამედ პოლიტიკური საშუალებებითაც“, ბელორუსეთის და უკრაინის ჩამოშორებით. ყველაზე უფრო საეჭვოთ მას მიაჩნია ერთდროული ომი რუსეთსა და გერმანიასთან. მაშინ პოლონეთს მხარს დაუჭერს საფრანგეთი; ხოლო რუსეთის მხარეს კი იქნება ლიტვა, ასე რომ მთავარი მოწინააღმდეგე ძალები ჩრდილოეთით იქნებიან დაგროვილი.

დომბროვსკი წინასწარ მოუწოდებს „პოლონეთის საზოგადოებას“ ანგარიში გაუწიოს ასეთ შესაძლებლობას და ამბობს: „მხოლოდ ამ ომის ფასად შევძლებთ ჩვენ დავარწმუნოთ რუსეთი და გერმანია, რომ პოლონეთი მათ შორის დარჩება როგორც ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფო“.

განსაკუთრებული მნიშვნელობა პოლონეთისათვის აქვს საფრანგეთთან მტკიცე კავშირის დაჭერას და სავსებით გამორკვევას საფრანგეთის ვალდებულებისას პოლონეთის მიმართ რუსეთთან ომის დროს; და დომბროვსკი მოაგონებს საფრანგეთის იმპერიალისტებს, რომ რუსეთთან ბრძოლით, პოლონეთი „იბრძვის საფრანგეთის უბოროტეს მტრის წინააღმდეგ და ამით ის არ უშვებს, რათა რუსეთის ძალები გაერთიანდეს გერმანელებთან რეინზე“.

ბალტიის სახელმწიფოებიდან პოლონეთი იმის მეტს არას თხოულობს, რომ თავი დაიცვან საკუთარი ძალებით. სამხრეთ საზღვარზე პოლონეთს არა აქვს უშუალო მუქარა. მაგრამ გერმანია შეეცდება ჩეხიით გავიდეს პოლონეთის ფრონტის ზურგში. შესაძლებელია უნგრეთის მონაწილეობაც გერმანიის მხარეს. მდგომარეობა ამ მხრივაც არ არის მტკიცე. ამიტომ საჭიროა არის უნგრეთის მიმხრობა.

ყველა ეს განზრახვები პოლონეთის იმპერიალიზმისა კომენტარიებს არ საჭიროებს. ისინი თავის-თავად მეტყველი არიან. ყოველივე ეს თვალნათლივ გვიჩვენებს მას, თუ რამდენად შეურიგებელი მტერი ჰყავს საბჭოთა რუსეთს თანამედროვე პოლონეთის სახით.

## რეაქციის სამოხელეში

ამ ჟამად საქართველოს უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალი არჩევს ცნობილ სმოლსკის და მის კამპანიის საქმეს. შეიძლება სმოლსკისპროცესს არ ქონდეს ფართო პოლიტიკური ხასიათი. მაგრამ უდაოა, რომ იგი „პროცესი“ საზოგადოებრივი და საინტერესო მნიშვნელობის მქონე მოვლენაა. ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ჯერ არ აღმოჩენილა ანალოგიური ფაქტი, მსგავსი მაგალითი.

ყოველ ქვეყანაში არსებობენ და მოქმედობენ ამგვარი გმირები. მთელი კაპიტალისტური და ბურჟუაზიული მსოფლიო წარმოადგენს ამის ილიუსტრაციას. ინგლისში ყოველ წელს ხდება ორგანიზაციულად შეკავშირებული აფერისტების „ბუნაგის“ აღმოჩენა. უფრო მასსიურ შემთხვევებს აქვს განსაკუთრებით ადგილი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბურჟუაზიული კულტურა საუნჯეა ყოველგვარ ბოროტების. აფერიზმის წარმომშობი და განმავითარებელი მიზეზები კაპიტალისტურ რეჟიმის შინაგანში მარხია. იმ სახელმწიფოში სადაც ხალხი კლასებადაა დაყოფილი, სადაც არსებობს მაძღარი და მშიერი; მდიდარი და ღარიბი, ბურჟუა და პროლეტარი,—ყოველდღიური ცხოვრების შინაარსი მეტად საზიზღარ ფაქტთა კონებით მდიდრდება. გამდიდრების, სხვისი გაყვლეფის—გაძვალტყავების მანიით შეპყრობილი პირი მიმართავს ყოველგვარ საშუალებას. ზოგი მიზნების რეალიზაციისათვის. სანამ არსებობს ძალმომრეობის, ბატონობის ფსიქოლოგია, ე. ი. კერძო საკუთრების საფუძვლებზე აგებული ცხოვრების პირობები, აფერიზმი და შანტაჟიზმი იარსებებს მუდამ, როგორც კაპიტალიზმის რეფლექსი და მისი პარალელი მოვლენები. ვინც უკვირდება თანამედროვე ბურჟუაზიულ ქვეყნების ვითარებას უსათუოდ შეამჩნევს აფერიზმის დამახასიათებელ ნიშნებს თვით პოლიტიკურ ურთიერთობის ლაბირინტში.

ძველი, ფეოდალური რუსეთის ისტორიაც უხვად იძლევა ნიღაბ ქვეშ დამალულ გმირთა სერიებს. ხლესტაკოვშჩინა და ჩიჩიკოვები თავის დროზე მეტად ღრმა კვალს ავლებდნენ დახავსებულ ძველი რუსეთის ცხოვრებაში. სპეკულიაცია „მკვდარი სულებით“. არსებობა „უალო მანდატების“ დამამზადებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ექსპედიციების" და მრავალი სხვა სავსებით ნუსხავს დრომოჭმულ პერიოდის ძირითად ხაზებს. ჩვენში, საქართველოშიც, არ წარმოადგენდა იშვიათ ეგზემპლიარს აშორდიას ტიპები.

თანამედროვე რუსეთის ვარემოებაში აფერიზმის განვითარების ტემპი უეჭველად უნდა შენელებულიყო. ეს თითქმის ასეც მოხდა. მაგრამ ძველი, ტრადიციული ფსიხოზი არ განიავებულა ჯერჯერობით საბოლოოდ. ამას მიუმატეთ კიდევ ობიექტიური მდგომარეობაც. რევოლიუციის პროცესში ფართო ასპარეზი მიეცა ხლესტაკოვების ფიგურების გამოქანდაკების შესაძლებლობას. სამოქალაქო ომში, ხელისუფლებათა ცვლაში და სახელმწიფო ორგანოების განუწყვეტელი ფორმაციების მიმდინარეობაში ხელმისაწვდომი შეიქმნა ყალბი დოკუმენტებით ბოროტმოქმედება. ამიტომ შემთხვევით მოვლენად არ უნდა მივიჩნიოთ სმოლსკების წამოტივტივება „მოღვაწეობის" არეზე.

კონტრ-რევოლიუცია იანუსური ფიზიონომიისაა. მას აქვს ორგვარი სახე: აშკარა და ფარული. შავი ძალების ფარული მუშაობით მეტად სერიოზული საფრთხე იქმნება რევოლიუციისთვისთვის. იუდენიჩის, დენიკინის, ალექსეევის და მათი კამპანიის ლეგალი სახით გამოლაშქრება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არსებითად ბევრად არ სჭარბობს იმ ფარულ, კონსპირატიულ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებს შინაური კონტრევოლიუცია უხილავის ქუდებით. კერძოთ სმოლსკის ბევრი რამ მნიშვნელოვანის და საგულისხმოს გაკეთება შეეძლო რეაქციის ფრონტზე. მის განკარგულებაში არსებულ ყალბი საბუთების მოხმარება გაასკეცებდა შავრაზმელთა მუშაობის რეზულტატებს. საბედნიეროდ, სმოლსკი ვერ გასცილდა უბრალო სპეკულიაციის ფარგლებს. მისი ყალთაბანდობის მთელი სიმძიმე სურსათ-სანოვაგის სახელმწიფო ორგანოებიდან გამოტანით და ბაზარში გაყიდვით ამოიწურა. რა უფლებებით სარგებლობდა სმოლსკი მთელი 2 წლის განმავლობაში? სწორედ ისეთი უფლებებით, რომლითაც იშვიათად სარგებლობს საბჭოთა ფედერაციის უმაღლეს ორგანოთა წარმომადგენელი. სმოლსკს მითვისებული ქონდა სახაზინო ბეჭედი რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის გერბით. ამ ბეჭდით ამშვენებდა იგი ყალბ მანდატებს. სმოლსკს ოპერატიულის მხრით ემორჩილებოდა ყველა კორპუსები, დივიზიები, ბრიგადები, საარტილერიო ბრიგადები, ყველა სამხედრო ნაწილები და სამხედრო დაწესებულებანი, რომელნიც კიევის სამხედრო ოლქში შედიოდენ. გარდა ამისა სმოლსკის „მანდატი" ანიჭებდა სამხედრო ნაწილების გადაჯგუფების დამოუკიდებლად წარმოებას, პირადი შეხედულებით. კომშემადგენლობის გადაყენებას საჭიროების დროს, მისი ბრძანების ამ ამსრულეთა რევტრიბუნალში გადაცემას. „მოწმობა" ავალებდა სამხედრო თანამდებობის პირებს მიეცათ სმოლსკისათვის ქალაქში აღნიშნულ დროზე გვიან სიარულის უფლება საალყო და სამხედრო წესების გამოცხადების დროს. აგრეთვე სმოლსკის მინიჭებული ქონდა საბ. ფედ. რკ. გზებზე მგზავრობის უფლება ცალკე ვაგონით, შტაბის, სადელეგატო, განსაკუთრებული დანიშნულების, საერთაშორისო, ჯავშნიანი ვაგონით დაუბრკოლებლად სარგებლობის ნებართვა. აშკარაა, ყოველივე ამ უფლებით შეიარაღებული პირი შესძლებდა ნამდვილი სამსახურის გაწევას ანტირევოლიუციონურ გეგმების განაღდების საქმისათვის.

მუშურ-გლეხურ ხელისუფლების ცენტრი უნდა იქმნას შინაურ კონტრევოლიუციონურ ელემენტების ალაგმვისაკენ მიმართული. ამ მიმართულებით საჭიროა ენერგიის მაქსიმუმის დახარჯვა. შეუძლებელია პროლეტარულ სახელმწიფოს შენებაში ხელშემშლელ პირობების არსებობა. სმოლსკის მაგალითი ჩვენს ცნობიერებაში ბადებს ანალოგიურ ფაქტების უხვად არსებობის შესაძლებლობას. ვინ იცის რამდენი სმოლსკები დათარეშობენ ჩვენში. ჩვენ ვიმყოფებით აღმშენებლობის, მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდში. სამოქალაქო ბრძოლას, ნგრევის და რღვევის ციებ-ცხელება განელილია. აფერიზმ-შანტაჟისტებისათვის ჩვენი ცხოვრების რეალობაში არ უნდა დარჩეს არც ერთი ჭურჭუტანა. მხოლოდ პატიოსნური შრომით ცხოვრებას უნდა მიეცეს არსებობის ფართო გზა. პარაზიტული ელემენტები სამუდამოდ უნდა ჩამოცილებულ იქმნას მშვიდობიან საზოგადოებრივ ურთიერთობის ბჭეებისაგან. რევოლიუციის განვითარების მექანიზმი მოსპობს ნიღაბ ქვეშ ამოფარებულ რეაქციის უხეშ ძალებს. უნდა იცოდეს თავისუფლების შეგნებულ, გინდ შეუგნებელ მტერმა, რომ მკაცრია და სასტიკი მშრომელთა კლასის დიქტატურის ბუნება მუქთა-ხორების, ყალთაბანდების და შანტაჟისტების მიმართ. პროლეტარულ რევოლიუციის კალთებს ქვეშ არ იარსებებს არც ერთი ფარული ორგანიზაცია, კონსპირატიული უჯრედი შავრაზმელების და მათ ხელისშემწყობ „ადიუტანტების".

გ. მ.

# რურის ოლქის ოკუპაცია

**გაფიცვები**

**ჰანოვერი** 8 თებერვალი. რეკლინპაუზში სამთო მუშებმა სახელმწიფო მაღაროებში 4 საათის საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადა. გაფიცვა გამოწვეულია რამოდენიმე სამთო მუშის დატუსაღებით.

**სასჯელი ზომები**

**ჰანოვერი** 8 თებერვალი. საფრანგეთის პრესა იუწყება ახალი სასჯელი ზომის შესახებ, რომელიც მდგომარეობს რურის ოლქიდან ფოლადის და რკინის წარმოების საგნების გამოტანის აკრძალვაში.

„ეხო დე პარი" იტყობინება, რომ ფოლადის მრეწველობის პროდუქტთა შეტანის აკრძალვასთან ერთად გატარებული იქნება რკინის მადნისა და ლომის შეზიდვის ბლოკადა, რაც აუცილებლათ საჭიროა ქარხნებისათვის ნედლი მასალის მოსამარაგებლათ.

**დატუსაღებულია ურჩობისათვის**

**ჰანოვერი** 8 თებერვალი. დიუისბურგის ბურგომისტრმა მიუხედავათ ბელგიელ გენერლის განკარგულებისა, არ დასტოვა თავისი თანამდებობა რის გამო ის დატუსაღებული და გადასახლებულია.

**ბოიკოტი**

**ჰანოვერი** 8 თებერვალი. დორტმუნდელ, ბოხუმელ და ვიტენელ ვაჭრებმა დაადგინა არ მიჰყიდოს საქონელი მტრის ჯარებს.

**ნახშირი ბლომათაა მაგრამ გატანა სჭირს**

**ჰანოვერი** 8 თებერვალი. „პტი-პარიზიენი" იუწყება, დიუსელდორფიდან მოსული ცნობების თანახმად ნახშირის ყველა საწყობები სავსეა ნახშირით, მაგრამ გაზიდვა სჭირს, რადგან ტრანსპორტი სრულიად მოშლილია.

**რკინისგზა სავნებით გაფუჭებულია**

**ჰანოვერი** 8 თებერვალი. „პტი ჟურნალ"-ი გადმოგვცემს რურის ოლქის მეტად გაჭირვებულ მდგომარეობას. რკინის გზის ქსელი 200 კილომეტრის მანძილზე სრულიად გაუქმებულია. რკინის გზის დანარჩენ ქსელზე მატარებლები დიდი გაჭირვებით მოძრაობენ. მისვლა დიუსელდორფიდან მეტცამდე მატარებლით, რომელზედაც ფრანგ მოსამსახურეთა პერსონალი მუშაობს, გძელდება 30 საათზე მეტი.

**კუნოს ემუქრებიან**

**მოსკოვი** 8 თებერვალი, კუნომ მიიღო რამოდენიმე წერილი, რომელშიაც მემარჯვენე ელემენტები ემუქრებიან მას სიკვდილით, იმ შემთხვევაში თუ ის საფრანგეთს დაუთმობს.

**კუნო რურის ოლქში**

**მოსკოვი** 8 თებერვალი. კუნომ მოიარა რურის ოლქი და საუბარი ჰქონდა მწარმოებლებთან, მუშებთან და სახელმწიფო მოსამსახურეებთან. ამის შესახებ პრესა ფიქრობს, რომ გერმანიამ გადასწყვიტა განაგრძოს წინააღმდეგობის პოლიტიკა. მიღებულია ცნობები ახალ გაფიცვებისა და საბოტაჟის შესახებ.

**ფრანგების წინსვლა**

**მოსკოვი** 8 თებერვალი უკანასკნელ დროს ფრანგებმა წაიწიეს წინ 26 მილით. გაზეთები იტყობინებიან, რომ შესაძლებელია შემდეგი წინსვლა.

**კუნოს განცხადება.**

**მოსკოვი,** 8 თებერვალი. რურის დაბრუნების შემდეგ ვესტფალის ლანდტაგში კუნომ განაცხადა, რომ გერმანიის პოლიტიკის მთავარი მიზანს ამ ჟამად შეადგენს წინააღმდეგობის გაწევა ბოლომდე საფრანგეთის შემოსევისათვის.

**გერმანიის ნოტა.**

**მოსკოვი,** 8 თებ. გერმანიის წარმომადგენელმა პარიზში გადასცა საფრანგეთის მთავრობას საპროტესტო ნოტა საფრანგეთის ჯარისკაცების ძალადობის წინააღმდეგ რურის ოლქში.

**საპროტესტო დემონსტრაცია.**

**მოსკოვი,** 8 თებ. ამსტერდამიდან მიღებული ცნობით ჰოლანდიის სოციალისტურმა პარტიამ და პროფკავშირების საბჭომ გადასწყვიტეს მოაწყოს ჰოლანდიის ქალაქებში მთელი რივი საპროტესტო დემონსტრაციისა რურის ოკუპაციის წინააღმდეგ.

**გერმანული კანონმდებლობის გაუქმება**

**ჰანოვერი.** 8 თებ. რეინლანდის მოკავშირეთა შორის კომისიამ დაადგინა 50 მილიონ მარკით დაჯარიმდეს ყველა მსაჯულები და მოხელეები, რომელნიც გერმანულ კანონმდებლობის მიხედვით მოქმედებენ. გერმანული პრესა ამ დადგენილებას სთვლის ძალადობის ახალ აქტად, რომელსაც არავითარი უფლებრივი საფუძველი არა აქვს.

**ბლოკადით ვერაფერი გააწყვეს. ახლა რკინის გზას აფეთქებენ**

**ჰანნოვერი.** 8 თებერ. მიუხედავად 1 თებერვლიდან დაწყებული ბლოკადისა, გერმანიის დაუკავებელ ადგილებში ესსენიდან უკანასკნელ დღეებში გაგზავნილია 100 მატარებელი ნახშირით. ზოგ ადგილებში ფრანგებმა რკინის გზა ააფეთქეს, რის გამო გერმანიასთან მიმოსვლა შეჩერებულია.

**სამხედრო პიკეტების საშუალებით საბაჟოებზე კონტროლის დაწესება.**

**პარიზი.** 8 თებ. დიუსბურგიდან იუწყებიან, რომ პიკეტების თანხლებით საფრანგეთის საბაჟოების მოხელეებმა საბაჟოების კონტროლის სამართველო დაიკავეს.

**გერმანელ მინისტრების დაკავებულ რაიონში შესვლის აკრძალვას აპირებენ.**

**პარიზი.** 7 თებ. დღემდე დაკავებულ ადგილებში გერმანელი მინისტრების შესვლა სრულიად თავისუფალი იყო დღეს საოკუპაციო ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები ახალი სანქციის გამოყენების მიზნით.

**პუანკარე შეცდა**

**ნაუენი.** 8 თებ. პარიზის ნაციონალისტური წრეები ჰკიცხავენ პუანკარეს მოქმედებას მის გამო, რომ მან კუნოს საშუალება აისცა ენახა რური, რასაც შედეგათ თითქოს გასახლეობის წინააღდეგობას და ურჩობას გადიდება მოჰყვა.

**ინგლისის საოკუპაციო ზონის დავიწროვება.**

**მოსკოვი.** 8 თებ. საფრანგეთის საკონტროლო ნაწილებმა ელბერველდისა და ბარმენის სამხრეთით და კელნის სამხრეთ-აღმოსავლეთით ინგლისის საოკუპაციო ზონაც შემოფარგლეს, გაფართოვებულია ზემო რეინის საოკუპაციო ზონაც მისვლამოსვლის იზოლიუციამ რეინის გზის სადგურის შეზღუდვა და გაზის ქარხნების და წყალსადენის კრიზისი გამოიწვია.

**იტალიელი ინჟინერები წავიდნენ მიუხედავად ფრანგების ცდისა**

**ჰანოვერი.** 8 თებ. იტალიელი ინჟინერები გაემგზავრენ ესსენიდან. გამგზავრების მიზეზები არავინ იცის საფრანგეთის საინჟინრო შტაბის უფროსი კოსტე განსაკუთრებული პრივილეგიების დათმობის საშვალებით ცდილობდა დაეტოვებინა ისინი.

**იტალია მხარს არ უჭერს საფრანგეთს.**

**ჰანოვერი.** 8 თებ. რომის ხელმძღვანელ წრეებში ამბობენ რომ იტალია მომავალში არ დაუჭერს მხარს საფრანგეთს რურის საკითხში და რომ იტალია შეეცდება ინგლისს ამ საკითხში ჩარევის გამოწვევას.

**იბრძვიან თავისი ნებით და არა იძულებით**

**ჰანოვერი,** 8 თებ. სოც.-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტმა 8 იანვრის თავის სხდომაზე გამოიტანა პროტესტი საფრანგეთის მთავრობის მტკიცების გამო, თითქოს რურის ოლქის მუშა-მოსამსახურეებისა და მოხელეების წინააღმდეგობა სამხედრო ოკუპაციას გამოწვეულია მხოლოდ გერმანიის მთავრობის განკარგულებით. ყველა იბრძვის თავისი ადამიანური ღირსებისა და თავისუფლებისათვის მკაცრ სამხედრო ძალადობის წინააღმდეგ.

კუნომ, პრესის წარმომადგენელთან საუბარში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუშებში გაბატონებულია წინააღმდეგობის უფრო შორს გაგრძელების წადილი. გერმანიის მთავრობის მიზანია—ხელი შეუწყოს საოკუპაციო ოლქის მცხოვრებთა სიმტკიცე. და ერთიანობას. წინააღმდეგობა კი უშუალოდ გამოდის ხალხისაგან, რომელსაც თავისი ადამიანური ღირსების შეგნების გამო არ სურს დაემორჩილოს მუქარას. საფრანგეთის მთელი პოლიტიკა დროებითი ზავიდან დაწყებული აქამდე არის ძალადობისა და მუქარის პოლიტიკა და მისწრაფება ხალხის დასახშობათ, მაშინ როდესაც უკანასკნელი ცდილობს აღადგინოს თავისი მრეწველობა.

# ლოზანას კონფერენცია

**კერზონის ჩასვლა ლონდონში.**

**მოსკოვი.** 8 თებერვალი. 6 თებერვალს კერზონი ჩავიდა ლონდონში ინახულა მეფე და კაბინეტის სასწრაფო სხდომაზე გააკეთა დაწვრილებითი მოხსენება ლოზანას კონფერენციის ჩაშლის მიზეზების შესახებ. სხდომის შედეგი გამოურკვეველია. სამხედრო მოქმედების დაუყოვნებლივ დაწყების შესაძლებლობას ყველა უარყოფს.

**ინგლისის პრესის აზრი.**

**მოსკოვი.** 8 თებერვალი, ინგლისის პრესა ირწმუნება, რომ ოსმალები მალე იძულებულნი იქნებიან მიიღონ ინგლისის წინადადება, დარწმუნდებიან რა, რომ კონსტანტინოპოლი მათ არ დაუბრუნდებათ, მანამ ხელს არ მოაწერენ საზავო ხელშეკრულებას.

პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ ზონარ ლოზ კონფერენციის ჩაშლის მთავარ მიზეზათ სთვლის საფრანგეთის ცდას გამართოს სეპარატიული მოლაპარაკება ოსმალეთთან.

**ფრანგები და ოსმალები.**

**მოსკოვი.** 8 თებერვ. „ტანი" იტყობინება, რომ საფრანგეთის დელეგატს კონფერენციაზე ლოზანადან წამოსვლის წინ საუბარი ჰქონდა ისმეტ-ფაშასთან. საუბარი განსაკუთრებით გულითადი ხასიათის იყო.

**ისმეტ ფაშის განცხადება.**

**მოსკოვი.** 8 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს უკანასკნელ შეუმოწმებელ ცნობების თანახმად ისმეტ-ფაშამ განაცხადა, რომ ის არ სთვლის კონფერენციას დამთავრებულად და მოელის ამის შესახებ ოფიციალურ ცნობას.

ისმეტ-ფაშამ გაზეთების კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ოსმალეთს არ სურს მტრული მოქმედების განახლება არც საბერძნეთის და არც ინგლისის წინააღმდეგ.

**ფასიანი ქაღალდების დაცემა**

**მოსკოვი.** 8 თებ. ლოზანას კონფერენციის ჩაშლის შედეგია ფასიანი ქაღალდების ღირებულების დაცემა ევროპის ყველა ბირჟებზე.

**მოკავშირეები და ოსმალები**

**მოსკოვი.** 8 თებერ. რადგან მოკავშირეები კონფერენციის ჩაშლას ოსმალოების შეურიგებელ პოზიციას აბრალებენ ისმეტ-ფაშამ კაპიტულიაციის საკითხის შესახებ განაცხადა, რომ კონფერენცია დამარცხდა უმთავრესად იმის გამო, რომ მოკავშირეებს სურდათ ოსმალეთის დამონება ეკონომიურის მხრივ.

**ამერიკა და ოსმალეთი.**

**მოსკოვი.** 8 თებერ. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობით თუ ამერიკა მიუხედავად კონფერენციის ჩაშლისა შეეცდება სე? რატიულად შეუთანხმდეს ოსმალეთს.

**საზავო ხელშეკრულებისათვის ხელის მოწერის გამო.**

**მოსკოვი.** 8 თებერვალი ლონდონიდან ჟურნალისტებთან საუბარში კერზონმა განაცხადა, რომ ოსმალების მიერ უარის თქმა ხელშეკრულებისათვის ხელის მოწერაზე, მოკავშირეებისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. კერზონი დარწმუნებულია, რომ ოსმალები ახლო მომავალში შესცვლიან თავის პოზიციას, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჰკარგავენ იმ მისაღებ პირობებს, რომელიც მათ წარუდგინეს გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა. კერზონის სიტყვით მოკავშირეები წავიდნენ უდიდეს დათმობაზე, არავითარი ხმები სეპარატიულ ხელშეკრულების შესახებ არ გამართლდება.

# უცხოეთი

**კაშენის პროცესის გამო.**

**მოსკოვი** 8 თებერ. კომუნისტმა ლაფონმა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში შეიტანა შეკითხვა პოლიციის ყალბი ჩვენების გამო, რომლითაც მთავრობამ მოახერხა კაშენისათვის პარლამენტარული ხელშეურხებლობის უფლების წართმევა.

**ინგლისელების კრეისერები ახლო აღმოსავლეთისაკენ.**

**მოსკოვი** 8 თებერ. მალტიდან იტყობინებიან, რომ ახლო აღმოსავლეთში გაიგზავნა ინგლისის 4 კრეისერი.

**ლიუდენდორფი.**

**მოსკოვი** 8 გერმანელ გლეხთა ნაციონალურ კავშირის ყრილობის გამო კლიაგენფურტში ჩავიდა ლიუდენდორფი. ყველა სადგურებზე მუშები ხვდებოდენ გენერალს საწინააღმდეგო დემონსტრაციებით. კლიაგენფურტში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება მუშებსა და რეაქციონერებს შორის. ვენის პოლიციამ წინადადება მისცა ლიუდენდორფს დააჩქაროს თავისი უკან გამგზავრება.

**უთანხმოება გერმანიის სოციალ-დემოკრატებს შორის.**

**მოსკოვი** 8 თებერ. უთანხმოება გერმანიის სოციალ-დემოკრატების რიგებში, რომელმაც თავი იჩინა ნიურენბერგის ყრილობაზე ხდება რურის ოკუპაციის საკითხის განხილვის დროს, ლანდტაგში სოციალ-დემოკრატების ერთმა ნაწილმა პროტესტი გამოსთქვა ერთიან ნაციონალურ ფრონტის შესახებ გამოტანილ რეზოლიუციის წინააღმდეგ და ხმა მისცა კომუნისტებთან ერთად.

პროვინციებში სოციალ-დემოკრატები ხშირად უფრო მემარცხენე პოზიციას ადგანან, ვინემ პარტიის ცეკა.

ჰანოვერში სოციალ-დემოკრატებმა მოიწვიეს საერთო თათბირი კომუნისტებთან ერთად და შეთანხმებულად გამოაქვეყნეს ანტი-ფაშისტური მოწოდება.

გერში და ლეიპციგში მიღებულია კუნოს საწინააღმდეგო რეზოლიუციები.

დიუსელდორფში, ტიურინგიაში, საქსონიაში და ჰესსენში ესდეკების პრესა უფრო მემარცხენეა, ვინემ ფორვერტსი.

**საფრანგეთის სოციალისტებს შორის.**

**მოსკოვი** 8 თებერ. ლილში გაიხსნა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა. საფრანგეთის კომპარტიამ მიმართა ყრილობას წინადადებით, რათა მოწვეულ იქნეს ორთავე პარტიების დელეგატების კონგრესი ყველა პროლეტარულ ორგანიზაციების კონფერენციის მოსაწვევად ომის საფრთხის და რურის ოკუპაციის წინააღმდეგ შეერთებული ბრძოლის მიზნით.

კომპარტიას არ წარუდგენია არავითარი წინასწარი პირობები პროლეტარულ ორგანიზაციების შეთანხმებულ მოქმედების შესახებ, მაგრამ სოციალისტურმა კონგრესმა არ მიიღო კომუნისტების წინადადება.

**არხი ატლანტის და წყნარ ოკეანეებს შორის.**

**მოსკოვი** 8 თებერ. ვაშინგტონის პრესის ბიუროს ცნობით, ამერიკის მთავრობას განზრახული აქვს ახალი არხის გაყვანა ატლანტის და წყნარ ოკეანეებს შორის. ამ სამუშაოსთვის საშუალებები გამოიძებნება პანამის არხის მოგებისაგან, რომელსაც იანვარში ჰქონდა მოგება ერთ ნახევარ მილიონ დოლარის რაოდენობით.

**გაფიცვა ნიუ-იორკში.**

**მოსკოვი.** 8 თებერვ. მუშების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო ნიუ-იორკში დაიწყო სამკერვალო მრეწველობის 30,000 მუშის გაფიცვა. სამკერვალო მრეწველობაში იმყოფება ნიუ-იორკის უფრო შეგნებული პროლეტარიატი. გაიფიცენ აგრეთვე ბავშების ტანთსაცმელების და მომზადებელი 10,000 მუშა.

**ახალი მთავრობა საქსონიაში.**

**მოსკოვი.** 8 თებერვ. გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კრებაზე, რომელიც გაიმართა ლეიპციგში საქსონიის ახალი მთავრობის შედგენის საკითხის გამო, მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს კოალიციას ბურჟუაზიულ პარტიებთან.

ფიქრობენ, რომ მთავრობა შედგენილი იქნება სოციალ-დემოკრატიული უმცირესობისაგან.

**ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ყრილობაზე.**

**მოსკოვი.** 8 თებერვ. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ყრილობამ გამოააშკარავა პარტიის სრული ერთსულოვნება. ყრილობაზე ხაზი გაუსვეს ჩეხო-სლოვაკიაში ფაშიზმის საფრთხეს და აქედან გამომდინარე პროლეტარიატის ყველა ძალების გაერთიანების აუცილებლობას.

**გაფიცვა საარის ოლქში.**

**მოსკოვი.** 8 თებ. იტყობინებიან, რომ საარის ოლქში გაფიცულია 75.000 სამთამადნო მრეწველობის მუშა, რომლებიც მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მომატებას.

**საყოველთაო შრომის ფედერაციის კონგრესი**

**მოსკოვი.** 8 თებ. საყოველთაო შრომის ფედერაციის კონგრესმა უარყო შრომის ფუნქციონალური კონფედერაციის

წინადადება საერთო ყრილობის მოწვევის შესახებ. კონგრესზე ამსტერდამის ინტერნაციონალის ბელადმა ფიმენმა განაცხადა, რომ ჰაგის საზავო კონფერენციის მიერ მიღებული დადგენილება ომის წინააღმდეგ ენერგიული კომპანიის ორგანიზაციის შესახებ ამ ჟამად განუხორციელებელია, მუშათა მოძრაობის საერთო უძლურების გამო.

**მემელი**

**მოსკოვი.** 8 თებ. ანტანტის წარმომადგენლებმა წარადგინეს კომპრომისული გადაწყვეტილება მემელის საკითხის შესახებ: მემელის მხარე უერთდება ლიტვას, ნავთსადგური ცხადდება თავისუფლად.

ლიტვის გარეშე საქმეთა სამინისტროს გაზეთი აცხადებს, რომ უკანასკნელ პირობებზე ლიტვა არ დასთანხმდება.

# ახალი ამბები

— **გორის აღმდგენი მთავარი კომიტეტი.** ქალაქ გორის აღმდგენი კომიტეტის თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. ვ. ავაკოვი, რომელსაც, თანახმა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ დებულების პროექტისა, დაევალა მოიწვიოს კომიტეტის დანარჩენი წევრები.

— **სამოსწავლო გადასახადი ფულის გადიდება.** სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებით, შეცვლილი იქნა ამავე კომისარიატის მიერ 1922 წელს 15 სექტემბერს გამოცემული დადგენილების 1 მუხლი, სწავლის გადასახადის შესახებ, რომლის ძალითაც სამოსწავლო წლის მეორე ნახევარში სწავლის გადასახადი საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, გადიდდება 100 პროც. ე. ი. საშუალო სასწავლებლებისათვის განისაზღვრება ნახევარ წელიწადში 1.500.000 მ. თითო მოწაფეზე ნაცვლათ 750.000 მ. ხოლო უმაღლეს სასწავლებლებისათვის 2.500.000 მ. თითო სტუდენტზე ნაცვლათ 1.250.000 მ.

— **ჩვენი უნივერსიტეტების სტუდ.-ექიმები.** მიმდინარე წელს მოხდა პირველი გამოშვება სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სტუდენტ-ექიმებისა. მედიკური ფაკულტეტი დაამთავრა 70 სტუდენტმა

— **ავადმყოფ მუშების** გაცდენილ დღეების ანაზღაურება. ტფ. ცენტ. კასის პრეზიდიუმის დადგენილებით ავადმყოფ მუშებს 1 იანვრიდან ყოველ გაცდენილ დღეებში, მიეცემათ თვიური ჯამაგირის ერთი მეოცდაოთხედი, ნაცვლად მეოცდა ათედისა.

— **მკვლელობა ბოდბის თემში.** როგორც გადმოგვცემენ ბოდბის თემის შრომის რწმუნებული გიგლა ჩიტაშვილი, დეკემბრის შუა რიცხვებში გამგზავრებულა წითელ არმიელებთან ერთად თემში, ტვირთზიდვის ხარკის მოსაკრებად. გზაში მათ დახვედრია ბანდიტები და ჩიტაშვილი სასიკვდილოდ დაუჭრიათ, რომელიც უკვე გარდაიცვალა ტფილისის საავადმყოფოში.

— **სტუდენტობის გასამართლება.** ლენინის სახელობის პოლიტექნიკუმის ინსტიტუტის კულტ-განყოფილებასთან არსებული რევოლიუციონურ-ლიტერატურული წრე 15 ამა თებერვალს აწყობს „სტუდენტობის გასამართლებას“. დამნაშავის სკამებზე ისხდებიან თანამედროვე სხვა და სხვა ტიპის სტუდენტები. სასამართლოს გეგმა და წესრიგი მუშავდება წინდაწინ.

— სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ აღძრულია შუამდგომლობა, მოეწყოს ახტალის ტალახით მკურნალობა ტფილისის საავადმყოფოებში.

# პროვინციის ცხოვრება

**კახეთში.** მიწად-მოქმედების კომისრის თანაშემწე აგრონომი კანდელაკი გაემგზავრა კახეთში სახალხო მეურნეობის მდგომარეობის გამოსარკვევად და ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებების ადგილობრივ გადასაწყვეტად.

**ზამთარი ბორჯომში.** ზამთრის დასაწყისიდან დღემდე ბორჯომის რაიონში თოვლი სრულებით არ ყოფილა, მხოლოდ 27 იანვარს დათოვა თითქმის არა ნაკლებ ერთი ალაბისა. ქუჩებში ძნელი შეიქმნა გავლა. თოვლის მოსვლის შემდეგ ყველას აღეძრა პურის კარგი მოსავლის შესახებ.

**გემის დაღუპა.** ბათომის ცენტრო-კავშირის განყოფილებამ სოხუმიდან მიიღო დეპეში, რომელიც აცნობებს, რომ გემს დატვირთული მარილით, მუშებითა და სხ. და რომელიც იდგა სოხუმის ახლოს გაუჩნდა ცეცხლი მანქანის განყოფილებაში: გემი ჩაიძირა ზღვაში. მაგრამ არის იმედი, რომ მთელი ტვირთი, მარილის გამოკლებით, დაუზიანებლად გადარჩება. მიღებული ცნობებით უკვე შეუდგნენ გემის ამოღებას.

**შაქარი საზღვარგარეთიდან.** არკოსისათვის გემ—„კლეოპატრა“-თი საზღვარგარეთიდან ბათომში მოვიდა ასი ტონი შაქარი.

**რუსეთში გასატანად.** ბათომის ცენტრო-კავშირი გაძლიერებული ენერგიით ამზადებს რუსეთში გასაგზავნად ნიგოზს, ჩაის, დაფნის ფოთოლს და სხვას.

# მუშათა ცხოვრება

**მეღვინოეთა კონფერენცია.**

1 თებერვალს შესდგა მეღვინოეთა კავშირის სრულიად საქართველოს მეღვინოეთა კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა მოხსენება პრეზიდიუმისა თავის მოღვაწეობის შესახებ საორგანიზაციო საკითხების შესახებ. კონფერენციამ დაადგინა, რომ დამყარებულ იქმნას მჭიდრო კავშირი როგორც ადგილობრივ ორგანიზაციებთან ისე პროვინციის ყველა უჯრედებთან და დროგამოშვებით გაეწიოს ზედამხედველობა, რათა კავშირის ყველა ორგანოებმა იმუშაონ ერთი გეგმით. კონფერენცია წინადადებას იძლევა, აუცილებლად დაარსებულ იქმნას მუშათა დამხმარე კასასთან უმუშევართა ფონდი. სატარიფო,—ეკონომიურ სფეროში უნდა გატარებულ იქმნას ცხოვრებაში კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება და სასტიკი ზედამხედველობა გაეწიოს იმ დაწესებულებას, სადაც ეს არ იქნება გატარებული. რაიცა შეეხება კულტურულ განმანათლებელ მუშაობას კონფერენცია ადგენს: თვეში ერთხელ შეკრებილ იქმნას კულტ-უჯრედების გაერთიანებული სხდომა. შეძლებისდაგვარად გაკეთებულ იქმნას მოხსენებები კულტურულ-განმანათლებელ თემებზე. მოახდინოს წერაკითხვის უცოდინართა სრული ლიკვიდაცია და დაარსებულ იქმნას კურსები მუშათა პროფესიონალურ ცოდნის გასაუმჯობესებლად. აგრეთვე დროგამოშვებით წაკითხულ იქმნას ლექციები პროფესიონალურ მოძრაობის, პოლიტიკურ-ეკონომიურ სანიტარულ და ჰიგიენურ თემებზე. დასასრულს კონფერენციამ ამოირჩია ახალი გამგეობა, რომლის შემადგენლობაში შედიან: ამხ.-ბი: ბახტიაროვი, დიმიტროპულო, ბოჭორიშვილი, მაჩაიძე, შედერკო, პრეობრაჟენსკი, სარქისოვი, კოლესნიკოვი და უსოვი. კანდიდატებათ აირჩიეს: ამხ. მამრიჩი, სხირტლაძე და მადერი.

**ქიმიკოსთა კავშირში**

30 იანვარს, მოხდა ქიმიკოსთა კავშირის წევრთა საერთო კრება უმუშევარ ამხანაგების მდგომარეობის გამოსარკვევად. კრებას დაესწრო 35 კაცი. ამ კრების უმთავრეს მიზანს შეადგენდა ქიმიკოსთა კავშირის წევრების უმუშევართა ცხოვრების გაუმჯობესება. მიუხედავად იმისა, რომ ქიმიკოსთა კავშირის ფინანსიური მდგომარეობა ვერ არის კარგი, კავშირმა გადასწყვიტა შეძლებისდაგვარად უმუშევართ აღმოუჩინონ დახმარება, კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც დაეკისრა ამის მოგვარება და დაავალა ამხ. არაქელოვს იყოს ამ საქმის ფაქტიური ხელმძღვანელი. 31 იანვარს კომისიამ უკვე მოახდინა კრება უმუშევართა საკითხის გადასაწყვეტად, სადაც დაადგინა, რომ ყველა უმუშევარ წევრთ მუშათა მთლიან კოოპერატივიდან მიეცეს ყოველ დღე ორი გირვანქა პური. ამას გარდა კრებამ ერთხმად გადასწყვიტა, რომ ყველა წევრები ჩაეწერნენ მუშათა მთლიან კოოპერატივში და ვინაც საწევრო გადასახადი არ ექნება, მიეცეს სესხის სახით დახმარება. ფაქტიურად უმუშევართა დახმარება უკვე გატარებულია ცხოვრებაში და მუშები იღებენ პურს, ფულით დახმარებას და ზოგიერთნი უფრო ნივთიერად გაჭირვებულნი ტანსაცმელსაც.

**პროფკავშირების სანიტარული განათლება**

პროფკავშირის კულტურულ განყოფილებამ წინადადება მისცა ყველა კავშირებს, რათა მათ მოაწყონ კავშირების წევრთა შორის სანიტარულ განმანათლებელი კვირეული, სადაც უნდა მოეწყოს ამის გამო მოხსენებები საერთოდ სანიტარულ-განმანათლებელ საკითხების შესახებ, როგორც მაგალითად არის: ჭლექი, ჰიგიენა (სისუფთავე) და სხვა სამკურნალო საგნებზე, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა ცხოვრებაში. საბჭოთა მოსამსახურენი უკვე შეუდგნენ ამ საქმის ცხოვრებაში გატარებას, სადაც მოაწყეს ლექციები და სხვა.

**ქარხნების და სახელოსნოების კომიტეტების გამგეების და ადგილკომების ყრილობა**

6 თებერვალს საბჭოთა პროფესიონალურ კავშირების სასახლის მცირე დარბაზში შესდგა ქარხნების და სახელოსნოების კომიტეტების გამგეების და ადგილ-კომების ყრილობა. ყრილობას დაესწრო 200-დე კაცი. ყრილობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ელბაქიანმა, რომელმაც აღნიშნა ახალ მეთოდების (წესების) საჭიროება კავშირების მუშაობაში შრომის დაცვის შესახებ მოხსენება გააკეთა შრომის ინსპექტორმა ამხ. სუხორუკოვმა.

ამხ. ელბაქიანის და სუხორუკოვის მოხსენებები, ყრილობის მიერ მოწონებულ იქმნა.

დროს უქონლობის და დაგვიანების გამო ამხ. ბოიაჯიანის მოხსენება თავის მოღვაწეობის შესახებ გადაიდო სამშაბათისთვის 13 თებერვლისთვის.

# განათლების მუშაკთა კონფერენციისათვის

ჩვენს დედა-ქალაქში გაიხსნა სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის მესამე ყრილობა,

საქართველოს მასწავლებლობას მესამედ უხდება შეკრება საბჭოთა საქართველოში, თავის პროფესიონალური ორგანიზაციის და პოზიციის გასაძლიერებლად. ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მეორე ყრილობამ კავშირის აწმყო გამგეობას ჩააბარა თავისი მართველობის ორგანიზმი, ფართოდ შემოხაზა მისი მოქმედების გეგმა და დაუსახა უახლოესი პრაქტიკული მიზნები. მესამე ყრილობა მიუდგომლად დააფასებს კავშირის გამგეობის ერთი წლის მოქმედების ანგარიშებს, თავის ავტორიტეტულ სიტყვას იტყვის ამა თუ იმ საკითხის და კულტურულ ამოცანების გადაჭრის შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი წლის განმავლობაში არას დროს არ ყოფილა შექმნილი ისეთი ობიექტური, პოლიტიკური ეკონომიური პირობები, საორგანიზაციო მუშაობისათვის, როგორც არის დღეს. საქართველოს ხელისუფლებას ამ ჟამად, როგორც ვიცით, განსაკუთრებით ეკონომიური აღმშენებლობის არენაზე უხდება მუშაობა და ამ მხრივ თვალსაჩინო მიღწევებს აქვს ადგილი.

შედარებით სუსტია სახელმწიფო ორგანოების მუშაობა განათლების სარბიელზე. ამ მხრივ ბევრი რამ არ არის გაკეთებული: თუმც ნიშნები მუშაობისა ყველგან გამოკრთის, მაგრამ განათლების უწყებათა სისუსტე ყველგან თავის უარყოფ შედეგებს სტოვებდა. ჩვენ ხშირად აღვნიშნავდით მუშაობის გამოცოცხლების საჭიროებას.

ერთი წელი ფრიად დიდი ხანაა ჩვენს ეხლანდელ ცხოვრებაში. ამ ხნის სიგრძეზე განათლების დარგში მომქმედთა პროფესიონალურმა კავშირმა ზოგიერთი თვალსაჩინო ნაკლი გამოასწორა კავშირის ცხოვრებიდან, მაგრამ უმთავრესი ჯერ მაინც შესრულებული არ არის. კავშირმა ვერ შესძლო მიეწევა შესაძლეობათა, თუმც საამისოდ ობიექტიური გარემოებანი მზად იყო, მაგრამ საქმით დაინტერესებული პირები, კი იშვიათად სჩანდენ სამოქმედო სარბიელზე. ასეთი უსიცოცხლო ყოფის შედეგი გახლავსთ ერთი მხრით, მასწავლებელთა უზრუნველყოფის საკითხი, რომელიც დღესაც კოშმარულ პირობებშია ჩაყენებული, პროფესიონალური ორგანოს უქონლობა, რომელიც ესოდენ გახმაურებული არის ჩვენს პრესაში და საზოგადოებაში და აგრეთვე მრავალი რამ დარჩა გასაკეთებელი იდეურ სფეროშიც.

ჩვენ არ ვივიწყებთ კავშირის გამგეობის დადებითი მუშაობის მხარეებსაც, როგორიცაა მაგალითად „განათლების მუშაკთა სახლი“-ს დაარსება და სხვა, მაგრამ მისი მუშაობა, საერთოდ, არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

მასწავლებელთა ორგანიზაციები საქართველოში, ძალიან დიდ სისუსტეს იჩენდენ პრაქტიკული საქმიანობის და პროფესიონალური მიზნებისათვის ბრძოლაში. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მენშევიკური, რეჟიმი. ამ დროს იმდენად დაქსაქსული და უსახო იყო მასწავლებელთა პროფ-კავშირი, რომ არც ცენტრალურმა ორგანომ ე. წ. კავშირთა კავშირმა იცოდა რას აკეთებდა პროვინციის ფილიალური განყოფილებანი და არც უკანასკნელს ქონდა საჭირო კონტაქტი პირველთან. ვის არ ახსოვს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა გაფიცვანი 1919—20 წლებში, რომელნიც ეკონომიურ ნიადაგზე იყვნენ აღმოცენებულნი მაგრამ პროფესიონალური ორგანიზაციის სისუსტის გამო ყველა ეს გაფიცვანი უდღეურნი, და უაღრესად სუსტი აღმოჩნდენ. ასეთი გარემოების შედეგი იყო გორის მაზრის მასწავლებელთა გაფიცვის ლიკვიდაცია 1919 წლის პირველ ნახევარში რომელიც სამს თვეს გაგრძელდა, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. ამავე წელს ხონის რაიონის მასწავლებელთა გაფიცვა, რომელსაც ცენტრალურმა „პროფესიონალურმა“ ორგანომ თავისი გაკიცხვა გამოუცხადა და „რკინის მინისტრი“-ს შიშის ქვეშ დააყენა იგი. მოვიგონოთ თუ გნებავთ ზუგდიდის მაზრის მასწავლებელთა ამბები იღნიშნულ დროში, შორაპნის მაზრის ყრილობანი სადაც არა ერთხელ გამოუტანიათ (1920 წ.) გაფიცვის რეზოლიუციები, აურჩევიათ გაფიცვის ხელმძღვანელი ბიუროები, მაგრამ ყოველივე ამაოდ დარჩენილა იმავე მიზეზით—კავშირის ორგანიზაციის სტრუქტურის უფერულობისა და უილაჯობის გამო.

ასეთი სუსტი საორგანიზაციო მომენტები თითქოს ატავისტურად გადმოინერგა აწმყო ჩვენს პროფესიონალურ კავშირში და ჯერაც არ უჩანს მას დასასრული. კავშირის გამგეობას ეხლაც ახასიათებს პასიობა, პროფესიონალური მიზნებისათვის არ სჩანს მუშაობა.

ამის საილიუსტრაციოდ შეგვიძლია დავასახელოთ, რამდენად ზრუნავდა გამგეობა კავშირის წევრთა ნივთიერი უზრუნველყოფის საქმისათვის, და როგორ იდეურ ხელმძღვანელობას უწევდა იგი ქართველ მასწავლებლობას.

მიმდინარე სამოსწავლო წლის დასაწყისიდან, შრომის ძველი ნორმა პედაგოგთათვის ფაქტიურად არ შეცვლილა, ხოლო შრომის თვიური ჯილდო ომამდე არსებული სატარიფო განაკვეთის ერთ მეოთხედსაც კი არ უდრიდა. რამდენიმე თვის განმავლობაში კავშირის გამგეობა გვაიმედებდა იმით, რომ ახლო მომავალში კოლექტიური ხელშეკრულება უნდა დადებულიყო და. ამით საბოლოოდ ელოდენ მასწავლებელთა ბედის გამოკეთებას.

დღეს. როგორც ვიცით, ხელშეკრულება დამტკიცებულია, მაგრამ განათლების მუშაკთა ნივთიერი მდგომარეობა კვლავ არა სასურველ პირობებში დარჩა. თვიური ჯილდოს ჩვეულებრივი სიმცირე ბაზრის ფასებთან შედარებით, ჯამაგირების თავის დროზე მიუღებლობა და სხვა ეკონომიური რესურსები აღნიშნულ მუშებთათვის, იგი [illegible] დაერთო ის გარემოება [illegible] საც სატარიფო განაკვეთის [illegible] ლი ორგანოები საქონლის მანეთის მიხედვით განსაზღვრულ ჯილდოს აწესებდენ განსაზღვრულ თვეში, ამას ცხადია მეტი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ამა თუ იმ თვეში გადაწყვეტილი ჯამაგირი. იმავე თვეში ეძლეოდესთ მასწავლებლებს, ვინაიდან ყოველთვიური განაკვეთი განსაზღვრული რაოდენობით. შეეფარდება იმავე თვეს რომლისთვისაც იგია დანიშნული და როდესაც ამ განაკვეთის მიღებას აგვიანდება თვეებით. ცხადია ის კარგავს იმდენ მნიშვნელობას და ღირებულებას, პროპორციულად რამდენადაც ახალ თვეში ბაზრის ფასები შეიცვალა და საქონლის მანეთიც დაეცა.

ეს ანბანური ჭეშმარიტება კავშირის გამგეობამ იცოდა, მაგრამ რა შედეგები მიიღო მათმა ცდამ (თუ ასეთი რამ არსებობდა) იმ დროს, როცა ოქტომბრის ჯამაგირები დეკემბერში დარიგდა ნოემბრისა—დეკემბრის უკანასკნელსა და იანვრის პირველ რიცხვებში ხოლო იანვრის ჯამაგირების რაოდენობა თებერვლის პირველ მეოთხედში. გამოირკვა და დარიგებით ვინ იცის როდის დარიგდება?

ეხლა ავიღოთ, თუ გნებავთ იდეური სფერო კავშირის მოღვაწეობისა. ამ მხრივ მისი მოქმედება ტფილისის ფარგლებს არ გასცილებია. ყველასათვის ცხადია, თუ რამდენად მოუმზადებელი იყო და არის განსაკუთრებით პროვინციელი მასწავლებლობა შრომის ახალი იდეების გასატარებლად სკოლებში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა განუზომელი მნიშვნელობა ექნება სოფლის მასწავლებელთათვის ახალ პედაგოგიურ ლიტერატურას, საკუთარ პროფესიონალურ ორგანოს და საერთოდ პედაგოგიურ გამომცემლობას, მაგრამ ვერც ერთი ეს საკითხი ვერ მოაგვარა კავშირის გამგეობამ ქართველ მასწავლებელთათვის. არც ერთხელ არ იყო ცდა საქართველოს მნიშვნელოვან დაბებსა და ზოგიერთ ქალაქებში კავშირის თაოსნობით დაარსებულიყო საცდელ-საჩვენებელი სკოლები მეთოდიკური კურსები და სხვა მაგვარი დაწესებულებანი, სადაც მასწავლებლებლებს მიეცემოდათ საშუალება ახალი იდეების და პედაგოგიური პრინციპების გაცნობისა.

ყოველივე ეს თავის კრიტიკულ პრიზმაში უნდა გაატაროს მესამე ყრილობამ, და შესაფერისი გამოსავალი უპოვნოს მას და საბოლოოდ გაანთავისუფლოს თავისი ორგანიზაცია უმოქმედობისაგან.

**გ. თავზარაშვილი.**

# მართმადიდებელ ეკლესიის დაშლა და „ცოცხალი ეკლესია“ რუსეთში

**(წერილი პეტროგრადიდან).**

(გაგრძელება*)

**ბ. სიმშილი რუსეთში და სამღვდელოების მოქმედება**

ორი წლის მოუსავლობა. ისედაც განაწამები, სულ-მიხდილი, ღონე დაკარგული ჯერ იმპერიალისტურ და შემდეგ სამოქალაქო ომებით რუსეთის მუშა და გლეხები პირისპირ დადგენ სიმშილიანობით გართულებულ სიკვდილის წინაშე. სიკვდილი ბასრი ცელით კაფავს მრავალ უბედურება გადატანილ პროლეტარიატს. მილიონობით კვდებიან სიმშილისაგან გლეხები. აღარ ზოგავენ მოზრდილნი ბავშებს, ძალა შერჩენილნი უძლურებს, გონზე გადასულნი ლორებსავით კლავენ მათ და სიმშილისაგან განამწარები იკვებებიან შვილების, ძმების, მამების ხორცით. საბჭოთა მთავრობა სასოწარკვეთილებამდი მისული ეძებს გამოსავალს, არ ჩერდება არაფრის წინაშე, რომ დაიხსნას ქვეყანა საბოლოო ამოწყვეტისაგან. რესპუბლიკის რესურსები სრულიად ამოწურულია, რუსეთს აღარ მოეპოება-რა. ამავე დროს-კი ღიპიან სამღვდელოების საყდრებ-მონასტრებში აუარებელი სიმდიდრე ინახება, მას ძუნწი დემონისავით თავს დაჰდომია შავ და თეთრად შემოსილი კონტრ-რევოლიუციონერები და მეფისტოფელისებურ ხითხითით დასცინის შიმშილისაგან ილაჯ-გაწყვეტილს. ადამიანის ხორცის ჭამამდე მისულ გლეხობას. ხითხითებენ ეშმაკის კერძები და ამავე დროს თვალი უჭყირიათ საზღვარ-გარეთისაკენ, აბა როდის მოვა მოძმე ძალა ძველის აღსადგენად, აბა როდის დასცემს ზურგში დანას განამწარებ-განაწამები გლეხობას საბჭოთა მთავრობას არა დარჩენოდა რა მეტი უკანასკნელს ვარდა იმისა, რომ ნებით ან ძალით ჩამოებრძანებია სამღვდელოება ხალხის ოფლით და სისხლით ავსილ ყუთებიდან და მოგროებულ სიმდიდრით დაეხსნა ქვეყანა სიკვდილის თარეშისაგან. გამოიცა კანონი ეკლესიის და მონასტრების განძეულობის ჩამორთმევისა.

იშოვნა დრო სამღვდელოებამ. კარლოვეცის ყრილობაზე მან მთელი თავისი სიბინძურე, მთელი თავისი გახრწნილება სულიერი დაცემულება გამოიჩინა: სამღვდელოებამ უარი განაცხადა განძეულობის გადაცემაზე მშიერთა გადასარჩენად. იმავე ყრილობაზე პარაკლისები გადაიხადეს მეფის გვარეულობის კეთილდღეობისათვის. ამას მოყვა პატრიარქ ტიხონის მოწოდება, რომლითაც უკრძალავდა სამღვდელოებას განძეულობის გადაცემას, ხოლო მართლმადიდებელთ მოუწოდებდა იარაღით ხელში წინააღმდეგობის გაწევისათვის. მოწოდებამ შედეგი იქონია: მღვდლების უმრავლესობა მალავდა განძეულობას, ხოლო მათ მიერ შეცდენილი გლეხები (მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი) იარაღით ხვდებოდენ მთავრობის წარმომადგენლებს. მაგრამ იყო მეორე წყება გლეხებისა, რომლებიც უმთავრეს ნაწილს შეადგენდენ, ისინი მოითხოვდენ დაუყონებლივად განძეულობის გადაცემას, ისინი აღარ უჯეროდენ მატყუარა მღვდლებს, მღვდლებს ხალხის უბედურობაზე მოხითხითეს. სამღვდელოების შორისაც გამოჩნდა უფრო გულშემატკივარი ნაწილი, არა სხვის უბედურებისა, არამედ თავის მომავალ

*) იხ. „ტრიბუნა“ № 412.

მდგომარეობის; იმათმა დაინახეს, რომ საბჭოთა მთავრობა საბოლოოდ რჩება, შეიგნეს რომ ცდა კონტრ-რევოლიუციისა, დანარცხებულ მთავრობის აღდგენისა, ტყუილ-უბრალო ილიუზიაა და აი, გადაწყვიტეს მოეხდინათ სათანადო გადატრიალება.

**გ. პატრიარქ ტიხონის გადაყენება.**

როგორც შევით აღვნიშნეთ სამღვდელოების ზოგიერთმა პირებმა ნათლად შეიგნეს, რომ შემდეგი ბრძოლა საბჭოთა ძალა-უფლების წინააღმდეგ შეუძლებელია აგრეთვე იმ მეთაურების დატოვება, რომლებიც არ ზოგავდენ თავის ძალ-ღონეს კონტრრევოლიუციონურ მოქმედებისათვის, არც შესაძლოა გაგრძელება იმ გზაზე სვლისა ხალხის მიმართ, რომლითაც მიიმართებოდენ ღღემდის, იმ თეზისებით ხალხის წინაშე გამოსვლა, რომლითაც გამოდიოდენ ბურჟუაზიულ მთავრობების დროს, უკანასკნელთ საქებ—სადიდებელ—სამლოცველოთ. ნათლად დაინახეს ისიც, რომ გლეხობამ გამოიცნო რა ნამდვილი სახე სამღვდელოებისა, ზურგს აქცევს მას, მტრული განწყობილებით ილაშქრებს და საიდაც არის მოიცილებს მათ, რით ბოლო მოეღება მათ არსებობას.

როგორც ისტორიის წინა ხანებში საჭირო იყო ხოლმე ფერის გამოცვლა, ახალ მანტიაში გახვევა პრესტიჟის შესანარჩუნებლად. ისე სამღვდელოებამ ახლაც გადაწყვიტა დროის და მდგომარეობის შესაბამებლად. წარსულ წლის 12 მაისს მოსკოვის, პეტროგრადის და პროვინციის რამოდენიმე დეკანოზმა, მღვდელმა და დიაკონმა, მოიყარეს რა ერთად თავი, გაემართენ პატრიარქ ტიხონისაკენ „ტახტის“ დატოვების წინადადების მისაცემათ. როგორც ჟურნალ „Живая Церковь“-შია მოყვანილი ამ პირებმა პატრიარქს შემდეგი ბრალდებანი წარუყენეს: რომ მან 1) დემონსტრატიულათ ანათემას გადასცა ბოლშევიკები 19 იანვარს 1918 წელს; 2) გამოსცა მოწოდება 1918 წ. 15—28 თებერვლიდან, რომელიც მოუწოდებდა ეკლესიათა განძეულობის დამალვისაკენ მიუვალ ადგილებში და ხალხს ეძახდა წინააღმდეგობის გასაწევათ, რასაც შედეგათ მოყვა 1.414 ექსცესი სისხლის ღვრით სხვა და სხვა ადგილებში; 3) აკურთხა და დაიახლოვა, იერარქიულ მთავარ ადგილებზე დანიშნით ევეთი პირები, რომლებიც სახელმოხვეჭილნი იყვნენ თავის კონტრევოლიუციონურ მოქმედებებით; 4) გარდაქმნა ეკლსია პოლიტიკურ ორგანიზაციათ, რომელშიაც თავის ანაფორის ქვეშ თავი მოუყარა ყოველგვარ უპასუხისმგებლო პირებს, სწორეთ ეგეთებს, რომლებიც ცდილობდენ საბჭოთა ხელის უფლების დამხობას.

მოისმინა რა პატრიარქ ტიხონმა ბრალდებანი და მოსაზრებანი ბრალდებულებისა, მან მოითხოვა ნახევარი საათი დასაფიქრებლათ და შემდეგ ამისა განაცხადა, რომ თავს ანებებს ეკლესიის მართვა-გამგეობას სრულიად რუსეთის საეკლესიო კრილობის მოწვევამდის, ხოლო მართვა-გამგეობას მანამდის უთმობს საეკლესიო უმაღლეს მართველობას. ეგეთივე იერით ჩატარდა გადატრიალება მაზრა-დაბებშიაც: სამღვდელობის უმეტეს მოხუცებული ერთი ნაწილი უგზავნიდა მოციქულებს კონტრრევოლიუციონურ ეპისკოპოსობას და ესენიც „ცოტა დაფიქრების“ შემდეგ ადგილს უთმობდენ ახლებს. ეგრე უმეტესად, სწრაფად, „ცოტა დაფიქრების“ შემდეგ დაუთმო შავმა სულით და გარეგნობით სამღვდელოებამ, „კარდინალურ ტოგებში გახვეულ სამღვდელოებას ტაბილი, თბილი და სანეტარო ადგილები. 75 ეპისკოპოსიდან 37 უკვე წ. ივლისის ბოლომდის დაიცვალა ე. ი. თვე ნახევარში, ხოლო დანარჩენმა 36 ოდნავ ფხიკიანობის შემდეგ ზოგმა დასტოვა, ზოგმა კი თავის მეთაურებიანთურთ რევოლიუციონურ ტრიბუნალში ამოყვეს თავი.

(შემდეგი იქნება)

**ტ. ჩუბინიძე.**

# ქვემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრიული სადგური

(დასასრული)

სადგურების და სამი ტურბინის ქარხნის დათვალიერების და ტურბინების ყველა ტიპების გაცნობის შემდეგ, ჩვენს მიერ გადაწყვეტილი იყო წინადადება მოგვეცა ფირმებისათვის ტურბინის ორი ვარიანტის მოცემისა: ჰორიზონტალური და ვერტიკალურის; ეს უკანასკნელი ყველა ფირმის მიერ ცნობილ იქნა როგორც ყველაზე უფრო გამოსადეგი ჩვენი პირობებისათვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათი ყურადღება მივაქციეთ ყოველწლიურად განმეორებულ მიწის ძვრაზე.

ტურბინების ნაყოფიერება განსაზღვრულ იქნა 3500 ცხ. ძალ. 15 მეტრის დაწოლით, 4200 ცხ. ძალამდე 17,3 მეტრ. დაწოლით და 4.500 ცხ. ძ. 18 მეტრის. დაწოლით. გენერატორებზე კი მიცემულ იქნა წინადადება ცენტრო-ტეხნ. ფირმებისადმი,—მიეცათ აღნიშნული ტურბინებისათვის თანახმათ მათი გამოცდილებისა.

ყოველი ცენტრ.-ტეხნ. ფირმა ამ საკითხს თავისებურად სწყვეტდა: ზოგს სიძვირის ეშინოდა და გვაწოდებდენ 2800 კვ. გენერატორს, აღნიშნავდენ რა ამავე დროს მის შეუთანხმებლობას ტურბინებთან, საერთ. ელექტრ. კამპ. მოგვაწოდა გენერატორი 300 კვ., ხოლო სიმენსის ფირმამ განაცხადა, რომ 4000 კვ. გენერატორზე ნაკლებიანს არ მოგვაწოდებს.

ამრიგათ, ოქტომბრის დასაწყისისთვის, ყველა წინადადებანი პირველ შეკითხვაზე მიცემული იქნა შემდეგი ფირმების მიერ: საერთ. ელექტრ. კამპ.—ორ ვარიანტში; სიმენსის მიერ—ერთ ვარიანტში; მაფფაი—პ. მაიერის—ორ ვარიანტში; შვეც. ელექტრ. მექ. საზ.—ერთ ვარიანტში: საერთაშ. შვეც. ელექტრ საზ.—ორ ვარიანტში.

ამის შემდეგ გადაწყვეტილ იქნა მოგვესმინა გამოჩენილ გერმანელ ინჟინრების აზრი, რომელთაც აქვთ მეტად დიდი პრაქტიკული გამოცდილება ჰიდრო-ელექტრ. სადგურების შენებაში. წინადადება მიეცა სიმენსის და საამშენებლო უნიონის საპროექტო განყოფილებას, განეხილა „ჰიდრო-შენის“ პროექტი.

ორივე ფირმამ, პროექტისა და განმარტებითი წერილების გაცნობის შემდეგ, განგვიცხადეს, რომ ისინი არ არიან „ჰიდრო-შენის“ პროექტის თანახმა; ამის შემდეგ ჩვენს მიერ წინადადება იყო მიცემული, რათა მათ თვითი შეედგინათ პროექტი. პირველათ ორივე ფირმა უარზე იდგა და მხოლოდ ორი დღის მოლაპარაკების შემდეგ ჰიდრო-ელექტრ. სადგურების საპროექტო განყოფილება სიმენსის ფირმისა დათანხმდა შეედგინა წინასწარი პროექტი შემდეგი პირობებით: 1) პროექტის გამოყენება ტფილისში არას შემთხვევაში არ შეიძლება ფირმის ნებადაურთველად; 2) სამუშაოს შესრულება პროექტის მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ ფირმის ტეხნიკურ ხელმძღვანელობის ქვეშ; 3) რადგან პროექტი ეკონომიას მოგვცემს საამშენებლო მუშაობაში, წარმოდგენილ „ჰიდრო-შენის“ პროექტთან შედარებით, ამიტომ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს, თუ რომელ ფირმას გადაეცეს შეკვეთა სადგურის გაწყობისათვის,—სიმენსის ფირმას უნდა მიეცეს უპირატესობა მოწყობის თანაბარ ღირებულების დროს; 4) იმ შემთხვევაში, თუ სიმენსის ფირმა არ მიიღებს შენაკვეთის ნაწილსაც კი, მაშინ პროექტის შესადგენ მუშაობისათვის გადახდილი უნდა იქნეს 75 ინგლ. გირვანქა; 5) პროექტი წინასწარი არის.

როდესაც პროექტი ზავათ უკვე შედგენილი იყო, ჩვენ მიერ მოწვეულ იქნა კონსულტაციისათვის ბერლინის უმაღლ. ტეხნ. სასწავლებლის პროფესორი რაიხელი და პროფ. ლარმშტადტის უმაღლ. ტეხნ. სასწავლებლისა ვაგენბახი, რომლებმაც საპროექტო განყოფილების გამგე ობერ-ინჟინერ რაიხარდთან, მის თანაშემწე ობერ-ინჟ. კნოლთან, საამშენებლო უნიონის ფირმის საამშენებლო განყოფილების გამგე დოქტორ ინჟ. აიგენბროდთან. ობერ-ინჟ. კანდლერთან, ინჟ. კუნთან, ფოლკთან და ლიბიხთან,—ერთხელ კიდევ განიხილეს „ჰიდრო-შენის“ პროექტი და განმარტებითი წერილები სიმენსის პროექტის და შეიტანეს შესწორებანი და შენიშვნები, რომელიც გამოთქმულია პროფ. ვაგენბახის და რაიხელის წერილობითი დასკვნაში.

ამ მნიშვნელობის არსება შემდეგში მდგომარეობს: 1) სადგურის სიძლიერე „ჰიდრო-შენის“ მიერ მცირედ არის წარმოდგენილი: დაშვებულია შეცთომა, რომელიც მეორდებოდა გერმანიაში მთელ რიგ წლებში, სახელდობრ სადგურის სიძლიერე გარკვეულ იქნა წყლის მინიმუმის მიხედვით, არა ნაკლებ 50 კუბ. მეტრ. წ., ჩასთვალეს რა ეს ცოტარიც პატარად; 2) დაწოლა გადიდებულ უნდა იქნეს ჯებირის ამაღლებით, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება და არ წალეკავს მცხეთას და სოფლებს, ხოლო უმნიშვნელო წალეკვის დროს კი საშიშ ადგილებში აგებულ უნდა იქნეს დამბები. ამ შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელონ ევროპასა და ამერიკაში მიღებულ წესით: ძვირფასიან ჯებირების აშენების დროს, წყალი უცბათ უნდა იქნეს აწეული მაქსიმალურ საზღვრამდი; 3) ჯებირების აშენება სავსებით შესაძლებელია და გარანტიას იძლევიან საამშენებლო ფირმები; 4) ჯებირები უნდა იქნეს ბეტონის ან ქვის და არა მიწის და არა 14 მეტრის სიმაღლის, არამედ მხოლოდ 10 მეტრის, 5) სტონეის ფარი ამ კონსტრუქციის დროს ზედმეტია; 6) არხის დასაწყისში წყლის დაგროვება მტკვარიდან უკეთესია მოხდეს სიმენსის პროექტის მიხედვით: 7) ზედა არხის გაფართოვება 17 საჟ. არაა საჭირო; 8) არხის ქრა გამიანგარიშებულ უნდა იქნეს მინიმუმი 130 მეტრ. კუბ. სწ., ხოლო უკეთესია 180 კუბ. მ.; 9) ტივები გაშვებულ უნდა იქნან არხით დაახლოვებით რკინის გზის ხიდამდი. იქვე მოეწყოს თევზის სავალი: 10) წყალი მოდენილ იქნეს სადგურისაკენ ფართო აუზით, რომელიც საკმაო იქნება დატვირთვის მერყეობის დაფარვისათვის 11) წყალი არ იქნეს გაშვებული ტურბინებიდან მაშინვე მდინარეში, არამედ გამოკვლეულ იქნას შესაძლებლობა ქვედა არხის გაყვანისა; 12) შევჩერდეთ ტურბინების ვერტიკალურ ტიპზე შემდეგი სიძლიერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 20,3 მ. დაწოლის დროს | 4600—5000 | ც. ძ. | |
| 18,3 „ | „ | „ | 2700—4400 „ „ |
| 17 „ | „ | „ | 2600—3900 „ „ |
| 12,53 მ. დაწ. დროს | 2500 | ცხ. ძ. | |

სადგურის აშენების პირველ საფეხურათ მიღებულ იქნეს საშუალოთ სიძლიერე 1300 ცხ. ძ. და შემდეგისათვის დაახლოვებით წყლის 40 კუბ. წ. გასავლით; 13) არ იქნეს ცნობილი საჭიროდ სპირალური ტურბინები 14) უკიდურეს შემთხვევაში სპირალური ტურბინები დაიდგას არაგვზე და გამოყენებულ იქნან ისინი სხვა მიზნებისათვის და მხოლოდ საჭირო მომენტში იქნეს ისინი გამოყენებული რეზერვათ; 15) სადგურის სიძლიერის გადიდებასთან გასინჯულ იქნას ხაზის მავთულები, 16) მიღებულ იქნას გენერატორების სიძლიერე 4000 კვ., ხოლო მათი შესაფერი ტრანსფორმატორების განსაზღვრა ფირმებს მიენდოს.

ამის შემდეგ წინადადება იქნა მიცემული ყველა კონკურსში დარჩენილ ფირმებისადმი, შეეცვალათ თავიანთი წინადადებანი თანახმად ახალი ცნობებისა.

შვეციის და ჩეხო-სლოვაკიის ფირმებს დაუყოვნებლივ გაეგზავნათ ყველა ასლები „ჰიდრო-შენის“ ნახაზებისა, განმარტებითი წერილებისა, პროფესორების დასკვნებისა და კომისიის აზრის,—თხოვნით, რათა გამოეგზავნათ ახალი წინადადება ან ბერლინში 12 ნოემბრამდე, ან ტფილისში ამის შემდეგ ასეთივე წინადადება მიეცა გერმანულ ფირმებსაც, რომელთაც ვერ მოასწრეს თავის დროზე წარმოედგინათ სავსებით თავიანთი წინადადებანი.

ახალ შეკითხვაზე სავსებით უპასუხეს შემდეგმა ფირმებმა: ფოიტი, ეშერვისსი, ბრიგლებ-განზენი და ელექტრო ტეხნ. მაფფაი—პ. მაიერი და სიმენსი. ნაწილობრივ საერ. ელექტრ. კომპანია. რომელიც დაგვპირდა უახლოეს დღეებში თავისი წინადადების ტფილისში გამოგზავნას და ბრაუნ ბოვერი, რომელიც ასევე დაგვპირდა, თუმცა სამი თვის განმავლობაში არა გაუკეთებია რა ზემო-ავჭალის სადგურის პროექტისათვის.

საქმის ფინანსიური მდგომარეობის მხრით, ჩვენი შეკითხვის მიღებისთანავე ყველა ფირმებისაგან პირველი კითხვები იყო: ვინ იძლევა ფინანსებს სადგურისათვის, რა ვალიუტით მოხდება ანგარიშის გასწორება, ვინ უზრუნველყოფს გადახდას უცხოეთში, განსაკუთრებით მთელი მოწყობილობის გერმანიიდან გაგზავნის შემდეგ, სადგურს მარტო ქალაქი აშენებს თუ საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ქალაქის სადგურის აშენებას.

ჩვენი პასუხების, რომლებიც დამაკმაყოფილებლად იქნენ ცნობილი და „ჩემოს“ გამგეობის წერილის თანახმად განმარტების შემდეგ, ფირმები შეუდგენ მუშაობას. მაგრამ განაცხადეს, რომ ისინი უფრო დაწვრილებით შეჩერდებიან ამ კითხვებზე და მათთვის სასურველი იქნებოდა გარანტია რომელიმე ევროპიული ბანკისა, მაგალითად ფლესინგისა ჰააგაში, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს „ჩემოსთან“. ასეთი გარანტიის დროს, როგორც ფასები, ისე პირობანი გადახდის უფრო შეღავათიანი იქნებოდა, ვიდრე უგარანტიოთ.

რაც შეეხება ფასებს მოწყობილობაზე გერმანიაში არსებობს ორგვარი ფასი: მცურავი (გერმანულ მარკებში) „თავისუფლად დატოვებული“ ე. ი. განსაზღვრული ფასი შენაკვეთის მიღების დროს გადიდდება მარკის დაცემასთან, მასალების ფასის გადიდებასთან, ხელფასის გადიდებასთან და ზედმეტ ხარჯებთან ერთად და საბოლოოდ გამორკვეული იქნება შენაკვეთის შესრულების დროს. შენაკვეთის შესრულების დროს საჭირო ხდება საწინდარ თანხაზე დამატება იმის მიხედვით, თუ რამდენათ დაცემულია მარკა. მცურავი ფასების დროს ჩვეულებრივ იძლევიან საგნების ძირითად ფასებს, რომელსაც ამრავლებენ გაძვირების კოეფიციენტზე შენაკვეთის დამტკიცების დროს. კოეფიციენტი ოფიციალურათ განისაზღვრება საკავშირო გაერთიანებით ელექტროტეხნიკურ და ტურბინის ქარხნებისა. ასეთი კოეფიციენტი იცვლებიან ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით, პოლიტიკურ განწყობილებით, მარკის დაცემის მიხედვით და სხ.

ამას გარდა არსებობს მტკიცე ფასი უცხოეთის მტკიცე ვალიუტაში და სავალდებულოა გადახდისათვის. მტკიცე ფასები არ არის მარკის ფასები, [illegible] ტანა კურსის მიხედვით, მაგ. დოლარი არამედ [illegible] ამ უკანასკნელთა [illegible] ციენტ[illegible] ველი მაღალ ვალიუტიან ქვეყნისათვის.

ჩვენ მიერ მოთხოვნილ იქნა როგორც მუდმივი, ისე მტკიცე ფასები, რომელთ შორის მეტად საგრძნობი განსხვავება.

დამხმარე მანქანების მოთხოვნილება შესახებ სხვა და სხვა ფირმებიდან მიღებული იქნა პასუხები; ამ მანქანებს შეადგენენ: საქაჩავები, ელექტრო-მოტორები, ვიწრო ლიანდაგიანი ლოკომოტივები და სხ. აქ აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ ჩვენს მიერ დათვალიერებულ სადგურზე მუშაობდა დაახლოებით 5 ვიწრო ლიანდაგიანი ლოკომოტივი, ხოლო სადგურ „ფრენდერბერგ“-ზე პატარა ელექტრომზიდავები 120 ცხ. ძ. მატორებით. ამას გარდა მოწყობილი იყო სახელოსნოები, პატარა ელექტრონული სადგურები, დეპო, ბარაკები და შენობები კანტორისა, საწყობის და მეთვალყურე პერსონალისათვის. მუშაობა ჩვეულებრივ სწარმოებდა დაახლოებით 500 მუშით, მაგრამ სამჯერ შეცვლით, ღამით—ძლიერი ელექტრონის სინათლის ქვეშ. ყოველივე ეს გერმანელებს საშუალებას აძლევს მაქსიმუმ ორი წლის განმავლობაში აგონ სადგურები, როგორიც არის მაგალითად ვალხენზეე ბავარიაში 15000 ცხ. ძ., მეტად მძიმე სამუშაო პირობებში: კლდეები, გვირაბები, რიდეები და სხ.

# ხელოვნება

**ვ. დოლიძის ხაღამო.** ოთხშაბათს 14 იანვარს სახელმწიფო თეატრის ოპერაში კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე, მოსკოვში და საზღვარგარეთ გამგზავრების წინ, მართავს დიდ საღამოს თავის ნაწარმოებიდან. დაიდგმება ოპერა „ლეილა“ 1 და 2 მოქმ.; ოპერა „ქეთო და კოტე“ მე-2 მოქ.; ნაწყვეტები ახალ ოპერა „ცისანა“-დან, რომელიც მზადდება ეხლა დასადგმელად სახელმწიფო ოპერაში; შესრულებული იქნება აგრეთვე უვერტიურა ამ უკანასკნელ ოპერის, ავტორის ლოტბარობით. დასასრულში საკონცერტო განყოფილება—ახალი რომანსები. ვიქტორ დოლიძესთან ერთად მოსკოვში გაემგზავრება რეჟისორი ა. რ. წუწუნავა, რომელიც დასდგამს იქ ოპერებს: „ლეილა“ და „ქეთო და კოტე“-ს რუსულ ენაზე.

**ქართული დრამატიული სტუდიის საღამო.** დღიდან თავის დაარსებისა (ამა წლის მარტის თვეში შესრულდება ერთი წელიწადი), აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებული დრამატიული სტუდია, შაბათს, 10 თებერვალს მართავს თავის პირველ საღამოს. გართულებული ეკონომიური პირობები, ყველაზე სასტიკად ხელს ჰკიდებს აღნიშნულ სასწავლებლის მოწაფეებს, როგორც უღარიბეს ახალგაზრდობის ელემენტს, რომელთაც სასცენო ხელოვნებისადმი უდიდესი წყურვილით გატაცებულთ მიტოვებული აქვთ ყოველივე სხვა გარეშე სამსახურისა თუ უნივერსიტეტის სამეცნიერო კედლების და სავსებით მიძღვნილი არიან სცენიურ ხელოვნების შემოქმედების სკოლას. პირობები მეტად ცუდი, მთავრობის არავითარი ყურადღება და არავითარი დამხმარე ხელი არსაიდან, ხელმძღვანელი, რომელიც ძალით მოწყვეტილია ყოველგვარ მუშაობის საშუალებას ჩვენთვის ჯერ კიდევ გამოურკვეველ დრომდე, უფინანსოფის გამო დაუკმაყოფილებელი პროფესორ—მასწავლებელნი, უბინაო რეჟისორები და მოწაფე—მსმენელები, გირვანქა პურის მოპოვებაში მოწაწილე ახალგაზრდა ხელოვანნი. ერთი სიტყვით, თითქოს ეს საქართველოს პირმშო შვილები—გერები იყვნენ.

დღეს დღეობით ეს სტუდია თავისი დამხმარე კასის ფონდის გასაძლიერებლად მართავს დიდ მხატვრულ საღამოს (რუსთაველის თეატრის ყველა დარბაზში), კონცერტ-კაბარეთი და დარბაზობით. საღამოზე მონაწილეობენ ქ. ტფილისის საუკეთესო მსახიობთა ძალები. მხატვრულ მხარეს ხელმძღვანელობენ აკადემიურ დრამის ყველა წევრები, კ. მარჯანიშვილის თავმჯდომარეობით.

თუ ტფილისის ქართველ მოქალაქეთ აინტერესებთ ბედი თავისი მშობლიური თეატრისა, მისი ახალი მომავლის და ამ ახალგაზრდა სტუდიელთა უზრუნველყოფის, მივიდეს ამ დღეს შაბათს 10 თებერვალს. აღნიშნულ საღამოზე, მიიტანოს თვისი წვლილი და აჩვენოს ნორჩ, ხელოვნების მოყვარულთ თავისი სიყვარული და მზრუნველი ყურადღება.

ხ.

# წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ეს განმარტებითი ბარათი მოათავსოთ თქვენს გაზეთში.

გაზეთ „რუბიკონი“-ს № 2-ში მოთავსებულია წერილი: „სახელმწიფო გამომცემლობა“. ამ წერილში მოყვანილი ზოგიერთი ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება. მწერალ ზიო არაგვისპირელის მოთხრობებს გამოცემა სახელმწიფო გამომცემლობის საგამომცემლო გეგმაში არ შედის. მხატვარ ფიროსმანის მონოგრაფიის გამოსაცემათ შემდგარია სარედაქციო კომისია რომლის თავმჯდომარე არის სახალხო განათლების კომისარი ამხ. დ. კანდელაკი წევრებად-კი სახელგამის კოლეგიის წევრები ამხ. რ. კალაძე, და ა. აბაშელი. ამ სარედაქციო კომისიის განკარგულებაში გადაიდო ხუთასი მილიონი მანეთი. ტ. ტაბიძე და კ. ზდანევიჩი ითვლებიან სარედაქციო კომისიის თანამშრომლებათ.

**სახელმწიფო გამომცემლობა.**

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მოგვითავსოთ ეს წერილი გაზეთ „ტრიბუნა“-ში.

10 იანვრიდან ა. წ. მე ვტოვებ საქართველოს მემარჯვენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიას და გადავდივარ ამიერიდან მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიაში.

**რ. კაჭარავა.**

1923 წ. 7 თებერვ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დავკარგე** პირადობის მოწმობა მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან მეოთხე სემესტრის სტუდენტის ეკატერინე ნიკოლაიშვილის სახელზე. გთხოვთ ჩათვალოთ გაუქმებულათ.

№ 390 1—1

**დავკარგე** პასპორტი 1919 წელს ტფილისის მილიციის სამმართველოდან მიღებული პაიწარ ავეტისის ასულის ავეტისოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

შეკვ. 700 ... სტამბა ... № 2